



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“**ფ ა მ ტ კ ი ც ე ბ**”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

„09“ „06“ 2014 წელი

სსიპ "საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო"

2011 და 2012 წლების 31 დეკემბერთი დასრულებული საანგარიშო პერიოდებისთვის
ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში 614/00

შინაარსი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.....	9
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	12
ფორმა N1 - ბალანსი.....	13
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.....	14
ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ.....	15
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ.....	16
ფორმა N4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ.....	17
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ.....	19
ფორმა N6 - ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ	21
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	22
1. ზოგადი ინფორმაცია	22
2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	22
3. სააგენტოს საქმიანობის მიმოხილვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით.....	23
4. შრომის ანაზღაურება და გაცემული მატერიალური დახმარებები	25

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ (შემდგომში „სააგენტო“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2011 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღებით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდებისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

სააგენტოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4200) შესაბამისად. მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ამსახველ აზრებში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმელად.

საწყისი ნაშთები

ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა დავსწრებოდით, 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სააგენტოში ჩატარებულ არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებითაც ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება, იმის შესახებ, რომ 2010 წლის 31 დეკემბრისთვის საბალანსო მუხლებზე ასახული ნაშთები არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ კომერციულ ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,024 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი. ამასთან, 2010 წლის საანგარიშგებო პერიოდთან დაკავშირებით ჩატარებული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე გამოვლენილი უზუსტობების გამო, რომლებიც ქვემოთ არის წარმოდგენილი, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რაიმე კორექტირების შეტანა ფორმა N2-ის, ფორმა N3-ის, ფორმა N4-ისა და ფორმა N5-ის შემადგენელ შესაბამის ელემენტებზე.

ძირითადი აქტივების აღრიცხვა

ჩვენ ასევე არ გვქონდა შესაძლებლობა დავსწრებოდით 2011 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სააგენტოში ჩატარებულ არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციას. ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგებისა და სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ძირითადი აქტივების რეესტრის ანალიზის შედეგად გამოვლინდა შეუსაბამოებები, რაც არსებით გავლენას ახდენს 2011 და 2012 წლების 31 დეკემბრისთვის ბალანსში ასახულ „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“, „შენობა-ნაგებობებისა“ და „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლებზე, კერძოდ:

- ძირითადი აქტივების რეესტრის მიხედვით, 2011 წლის 1 იანვრისთვის სააგენტოს ბალანსზე ირიცხება 571,720 ლარის ღირებულების 20 ერთეული შენობა-ნაგებობა, რომელთა უმრავლესობა სააგენტოს გადმოეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მიერ 2005 წლის 10 ნოემბერს დამტკიცებული ქონების გადაცემის შესახებ აქტის საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ აქტში არ არის წარმოდგენილი შენობა-ნაგებობების ისეთი სახის აუცილებელი საიდენტიფიკაციო მონაცემები, როგორიცაა სრული მისამართი და საკადასტრო კოდი. იკითხება მხოლოდ ქონების ზოგადი დასახელება (მაგ: სასაწყობო ნაგებობა, შემოსასვლელი, ხარისხის სახლი), ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი, ადგილმდებარეობა ქალაქების მიხედვით, საბალანსო ღირებულება და კომისიის მიერ დადგენილი რეალური ღირებულება. 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამი შენობა გადაცემულია სხვადასხვა პირებზე და არ არის ჩამოწერილი ბალანსიდან. ასევე, ზოგიერთი შენობა-ნაგებობა არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. შესაბამისად, შენობა-ნაგებობების საბალანსო მუხლებზე ვერ იქნა უფლება-მოვალეობებისა და არსებობის მტკიცებებზე საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება.
- ხშირ შემთხვევაში სააგენტოს მიერ ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის გამოსაანგარიშებლად გამოყენებული მეთოდები და ცვეთის წლიური ნორმები არ შეესაბამება ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანება¹ N439-ის მოთხოვნებს. ყველა ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებას, არამართებულად მისადაგებული აქვს 20%-იანი ცვეთის ნორმა. ასევე, არასწორად არის განსაზღვრული არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების ცვეთის ნორმები. რეესტრის მიხედვით, შენობა-ნაგებობების მნიშვნელოვანი ნაწილის ცვეთის დაანგარიშება ნაცვლად 1%-ისა, ხდება 7%-იანი ნორმის საფუძველზე.
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით განსაზღვრული მოთხოვნის² გაუთვალისწინებლად, სააგენტოს ძირითად აქტივებად არამართებულად აქვს ასახული ექსპლუატაციაში შესული, 500 ლარზე ნაკლები საწყისი ღირებულების ინვენტარი. წარმოდგენილი რეესტრის მიხედვით, აღნიშნული აქტივების ჯამური საბალანსო ღირებულება 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 11,787 ლარს, ხოლო 2012 წლის ბოლოსთვის - 10,926 ლარს. გვხვდება ასევე

¹ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

² მუხლი 22, პუნქტი 1

საპირისპირო სახის შემთხვევებიც, როდესაც 2011 წელს შპს „ბსპ კომპანისგან“ შესყიდული 6,050 ლარის 5 ერთეული კომპიუტერი აკმაყოფილებდა ძირითად აქტივებად აღიარების კრიტერიუმებს, ხოლო სააგენტოს მიერ აღნიშნული ინვენტარი 2011 წელს ხარჯებშია აღრიცხული.

სააგენტოს დაკვეთით აუდიტორულმა კომპანია შპს „ლაზიკამ“ 2012 წელს შეაფასა 2011 წლის არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობისა და დანაკლისის საბაზრო ღირებულება. აუდიტორული კომპანიის ანგარიშის მიხედვით, ზედმეტობის ჯამურმა საბაზრო ღირებულებამ 46,975 ლარი, ხოლო დანაკლისის - 28,310 ლარი შეადგინა.

- ზედმეტობის ასახვა 2012 წლის ბუღალტრულ ჩანაწერებში მოხდა შეცდომით, „მანქანა-დანადგარების“ ანგარიშის 9,615 ლარით გაზრდით, რის შედეგად 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „მანქანა დანადგარების“ მუხლი 37,360 ლარით შემცირებულად იქნა წარმოდგენილი.
- რაც შეეხება დანაკლისის აღრიცხვას, სააგენტომ გაითვალისწინა აქტით განსაზღვრული ღირებულება, ბუღალტრულ ჩანაწერებში დააფიქსირა 28,310 ლარის ძირითადი აქტივების შემოსვლა და შემდეგ, აღნიშნული აქტივები სრულად ჩამოწერა ხარჯებში. შეუძლებელია ისეთი აქტივების საბაზრო ღირებულების დადგენა, რომლებიც ინვენტარიზაციის შედეგად ფიზიკურად ვერ იქნა აღმოჩენილი. შესაბამისად, აღნიშნული ოპერაციის შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულება 28,310 ლარით არამარმართებულად არის გაზრდილი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საქართველოს მთავრობების ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების საფუძველზე სააგენტოს რამდენჯერმე უსასყიდლოდ გადაეცა ტექნიკური აღჭურვილობა. აღნიშნული ოპერაციების აღრიცხვისას გამოვლინდა შემდეგი სახის უზუსტობები:

- 2010 წლის 26 მარტს გერმანიის ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტის მხრიდან სააგენტოს უსასყიდლოდ გადმოეცა მასის ლაბორატორიის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი აღჭურვილობა. ჩუქების აქტის მიხედვით, სააგენტომ უსასყიდლოდ მიიღო 140,333 ევროს ღირებულების (საწყისი ღირებულება შესაბამისი ვალუტის კურსის გათვალისწინებით - 324,863 ლარი) ისეთი სახის აქტივები, რომლებიც სრულად აკმაყოფილებდა ძირითად საშუალებებად აღიარების კრიტერიუმებს. თუმცა, აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სააგენტოს საერთოდ არ აღურიცხავს აღნიშნული დანადგარები, რის შედეგადაც, 2010, 2011 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითად არასწორად და არასრულად არის წარმოდგენილი „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები, ასევე, ფორმა N2-ის, ფორმა N3-ისა და ფორმა N5-ის შემადგენელი შესაბამისი ელემენტები.
- გერმანიის ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტის მიერ დაფინანსებული სააგენტოს მასის ლაბორატორიის ვენტილაციის სისტემით აღჭურვის სამუშაოები დასრულდა 2010 წლის მაისში. მიუხედავად ამისა, 191,106 ლარის ღირებულების სამუშაოები ძირითად აქტივად აღიარებული და, შესაბამისად, ფორმა N3-ში უსასყიდლოდ მიღებული აქტივების სახით ასახული იქნა 2011 წელს. თუ გავითვალისწინებთ აღნიშნულ აქტივებზე 2010 წელს დასარიცხ ცვეთას, 2010, 2011 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის წარმოდგენილი „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები, ასევე, ფორმა N2-ის, ფორმა N3-ისა და ფორმა N5-ის შემადგენელი შესაბამისი ელემენტები.
- 2012 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფორმა N5-ის მიხედვით, „სხვა მიღებების“ ველში ფიქსირდება „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ ზრდა 326,742 ლარის ოდენობით, რაც ასახვს გერმანული მხარისგან 2012 წლის 12 სექტემბერს უსასყიდლოდ მიღებულ ინვენტართან დაკავშირებულ ოპერაციას. თუმცა, კანონმდებლობის³ მოთხოვნის მიუხედავად, იგივე თანხით არ არის გაზრდილი ფორმა N3-ში „აქტივების უსასყიდლოდ მიღების“ მუხლი. შედეგად კი 2012 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „წმინდა ღირებულება“ არასწორად არის წარდგენილი. გარდა ამისა, ხარვეზი აღინიშნება ამ აქტივების საწყისი ღირებულების გაანგარიშებასთან დაკავშირებითაც,

3 „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება

კერძოდ, არასწორად არის განსაზღვრული აქტივის გადმოცემის დრო, რის გამოც არ მომხდარა საწყისი ღირებულების გაანგარიშება ვალუტის გაცვლის შესაბამისი კურსის მიხედვით.

მატერიალური მარაგების აღრიცხვა

ფინანსურ ანგარიშგებაში 2010, 2011 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლი უცვლელად შეადგენს 81,945 ლარს, ხოლო „ფასეულობების“ მუხლი - 15,167 ლარს. მოქმედი კანონმდებლობის⁴ მოთხოვნების გათვალისწინებლად მოცემული თარიღებისთვის ბალანსში ასახული „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ მოიცავს ისეთი სახის ინვენტარს, რომელთა ისტორიული ღირებულება აღემატება 500 ლარს.

მოქმედი კანონმდებლობის⁵ მიხედვით, ფასეულობების ორგანიზებული ბაზრის არსებობის პირობებში, ფასეულობების ღირებულებითი შეფასება შეიძლება მოხდეს მიმდინარე საბაზრო ფასებით, სხვა შემთხვევებში, ფასეულობები ფასდება იმ თანხით, რომლითაც ისინი დაზღვეულნი არიან ხანძრის, ქურდობის და სხვა რისკებისაგან. სააგენტოს მიერ არ არის დაზღვეული ფასეულობები. ასევე, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ფასეულობების ღირებულება ორგანიზებული ბაზრის ფასების გათვალისწინებით იქნა შეფასებული. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავრწმუნდით ფასეულობების ღირებულების სისწორეში, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში 2011 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით 15,167 ლარით არის წარმოდგენილი.

გარდა ამისა, 2011 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსწორად არის წარდგენილი „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ ნაშთები, რაც შესაბამისად 7,370 და 4790 ლარს შეადგენს. აღნიშნული მუხლი სრულად მოიცავს შეცდომით კლასიფიცირებულ მატერიალური მარაგების ნაშთებს.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია და მის შედეგად წარმოშობილი დებიტორული დავალიანება

2011 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად, გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები და უზუსტობები, რის საფუძველზეც უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული თარიღებისათვის სააგენტოს არამართებულად აქვს წარდგენილი საქონლისა და მომსახურების რეალიზაციისა და მის შედეგად წარმოშობილი დებიტორული დავალიანების ნაშთები, კერძოდ:

- საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის აღიარება ხდება საფინანსო სამსახურში სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშის საფუძველზე. თანდართულ მიღება-ჩაბარების აქტებთან ერთად, ანგარიშში მოცემულია კონკრეტული თვის მიხედვით გაწეული მომსახურების დასახელება, მისი დამკვეთი და ღირებულება. ხშირ შემთხვევაში საფინანსო სამსახურში წარდგენილი ინფორმაცია არადროული, ან არასრულია, რაც ბუღალტრულ ჩანაწერებში აღნიშნულ მუხლებთან მიმართებაში მნიშვნელოვან ცდომილებებს იწვევს. კერძოდ, 2011 წლის 46,616 ლარის ოდენობის რეალიზაცია, შემოსავლად აღიარებულია 2012 წელს, ხოლო 2012 წლის 8,200 ლარის ოდენობის რეალიზაცია, აღრცხულია 2013 წელს.
- 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფორმა N4-ის მიხედვით, საქონლისა და მომსახურების საკასო და ფაქტობრივი რეალიზაცია შეადგენს 1,408,700 ლარს, რაც არ შეესაბამება სააგენტოს ბუღალტრულ ჩანაწერებში არსებულ მონაცემებს. იგივე შემთხვევას აქვს ადგილი 2012 წელსაც, სადაც საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია 1,305,667 ლარია. სხვაობა ბუღალტრულ მონაცემებსა და ფინანსურ ანგარიშგებას შორის გამოწვეულია ანგარიშგებაში შემოსავლების დღგ-ის თანხით გაზრდის გამო.
- გაუნაწილებელი მოგების ანგარიშთან კორესპონდენციით დებიტორული დავალიანება 2011 წელს 63,101 ლარით, ხოლო 2012 წელს 35,888 ლარით არის შემცირებული. ბუღალტრულ ჩანაწერებში შესაბამისი გატარებები კონკრეტული დებიტორის იდენტიფიცირების საშუალებას არ იძლევა. სააგენტომ ვერ

4 „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება - მუხლი 2, პუნქტი ლ)

5 „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება - მუხლი 26, პუნქტი 5

წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რაც აუდიტის ჯგუფს დაარწმუნებდა აღნიშნული გატარებების მიზანშეწონილობაში.

- დებიტორთა რეესტრში აღნიშნება უარყოფითი ნაშთის მქონე ანგარიშები, რისი მიზეზიც არასწორად კლასიფიცირებული, მიღებული ავანსებია. შედეგად, 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული ავანსები 10,407 ლარით, ხოლო 2012 წლის ბოლოსთვის - 10,022 ლარით ამცირებს „წინასწარი გადახდების მოთხოვნის“ მუხლს.

საბიუჯეტო სახსრებით გაწეული ხარჯები

2011 წელს სააგენტოსთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან არაფინანსური აქტივების, კერძოდ კი შენობა-ნაგებობების ზრდისთვის გამოყოფილი ასიგნება შეადგენდა 42,500 ლარს, რაც ხაზინის ამონაწერისა და ფორმა N2.1-ის მიხედვით სააგენტომ სრულად აითვისა. ფორმა N5-ის მიხედვით კი 2011 წელს საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი შენობა-ნაგებობების ღირებულება 82,490 ლარია. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული 42,155 ლარიდან არამართებულად იქნა გაწეული 39,155 ლარის ოდენობის კაპიტალური დანახარჯები, რაც იწვევს სააგენტოს მიერ საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებული ოპერაციების შეუსაბამობას 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონთან. აქედან გამომდინარე, 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის წარდგენილი ფორმა N2-ის მუხლი - საქონელი და მომსახურება და ფორმა N2.1-ის მუხლი - შენობა-ნაგებობები, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს წმინდა ღირებულების გაანგარიშებაზეც.

ეკონომიკური საქმიანობის მიზნებისთვის გაწეული ხარჯები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფორმა N4-ში საქონლისა და მომსახურების რელიზაცია დღგ-ის ჩათვლით არასწორად არის წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, 2011 და 2012 წლების ფორმა N4-ის ფაქტიური ნაშთები უტოლდება ბალანსში წარმოდგენილ „გაუნაწილებელი მოგების“ შესაბამის ნაშთებს, რაც შეუძლებელია, გამომდინარე იქიდან, რომ არსებული ინფორმაციით, „გაუნაწილებელ მოგება“ არ მოიცავს დღგ-ის თანხებს. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნული ტოლობები სააგენტოს მიერ მიღწეულია ფორმა N4-ში ხარჯების მუხლების ხელოვნურად დაკორექტირების გზით, კერძოდ:

- 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ბიუჯეტში გადახდილი თანხების“ მუხლის საკასო და ფაქტიური მონაცემები შეადგენს 181,000 ლარს. მოქმედი კანონმდებლობის⁶ შესაბამისად, ფორმა N4-ში აღნიშნული მუხლი საერთოდ არ უნდა მოიცავდეს ფაქტიურ სიდიდეს. გასათვალისწინებელია ასევე, რომ სააგენტოს ბუღალტრულ ჩანაწერებში მსგავს ფაქტიურ ხარჯზე არ მოიპოვება ინფორმაცია;
- 2011 წელს „ძირითადი კაპიტალის მოხმარების ველში“ საერთოდ არ არის წარდგენილი ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი. 2012 წელს კი ძირითადი კაპიტალის მოხმარება 89,211 ლარს შეადგენს, რაც არ შეესაბამება ბუღალტრულ ჩანაწერებს;
- 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფორმა N4-ში „შრომის ანაზღაურების“ ფაქტიური ხარჯი შეადგენს 364,975 ლარს, რაც 318,962 ლარით ნაკლებია ბუღალტრულ ჩანაწერებში სწორად ასახულ შესაბამის ხარჯზე.

გარდა ამისა, „საქონელი და მომსახურების“ მუხლთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი სახის უზუსტობები:

- ბუღალტრულ ჩანაწერებში საქონლის და მომსახურების ხარჯი ხშირ შემთხვევაში არ არის დროულად აღიარებული. მაგალითად, 2013 წელს გაწეული 6,737 ლარის ოდენობის აუდიტორული მომსახურების ხარჯი არამართებულად არის აღიარებული 2012 წელს.
- 2011 წელს არის გატარებული სააგენტოს ერთ-ერთი თანამშრომლის 94 ლარის ოდენობის სამივლინებო ხარჯი, როდესაც სამივლინებო ფურცლები და განკარგულება არის 2010 წლის აგვისტოთი და სექტემბრით დათარიღებული.

⁶ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება

- იმის მიუხედავად, რომ სააგენტო დღგ-ის გადამხდელად არის რეგისტრირებული, ხშირია შემთხვევები, როდესაც დღგ-ის გადამხდელი მიმწოდებლისგან შესყიდული საქონელი, ან მომსახურება ხარჯად აღიარებულია დღგ-ის ჩათვლით. მსგავსი შემთხვევები ძირითადად კომუნალური და წარმომადგენლობითი ხარჯების აღრიცხვისას გვხვდება. დღგ-ს ჩათვლით ხარჯებში ასახული ჯამური თანხები 2011 წელს 8,241 ლარს, ხოლო 2012 წელს - 3,810 ლარს შეადგენს.

2011 წლის „სხვა ხარჯების“ მუხლის საკასო და ფაქტიური მონაცემები შეადგენს 99,000 ლარს. ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით აღნიშნული მუხლი მოიცავს მაკორექტირებელ (სავარაუდოდ, ნაშთის ჩამოწერის ხარჯის) გატარებებს, რომლებიც 63,101 ლარით ამცირებს დებიტორული დავალიანების, ხოლო 35,899 ლარით - გადახდილი დღგ-ის ნაშთებს. 2012 წელს კი „სხვა ხარჯები“ (ფაქტიური 95,932 ლარი) მოგების გადასახადთან ერთად მოიცავს ზემოთხსენებული სახის ხარჯებს, სადაც დებიტორული დავალიანების კორექტირება ამჯერად 35,888 ლარს შეადგენს, საშემოსავლო გადასახადის კორექტირება - 19,839 ლარს, ხოლო ჩასათვლელი დღგ-ის კორექტირება 25,653 ლარია. სააგენტომ ვერ წარმოადგინა შესაფერისი და საკმარისი მტკიცებულება, რაც აუდიტის ჯგუფს დაარწმუნებდა აღნიშნული სახის მაკორექტირებელი გატარებების მართლზომიერებაში და, შესაბამისად, მოცემულ საანგარიშგებო პერიოდებში ასახული „სხვა ხარჯების“ მუხლის მართებულობაში.

გადასახადებთან დაკავშირებული მუხლები

სააგენტოს მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციები და ბუღალტრულ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. შესაბამისად, მნიშვნელოვანი სხვაობებია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საგადასახადო მუხლებსა და შემოსავლების სამსახურის შედარების აქტს შორის. გარდა ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ სააგენტოს არ აქვს ჯეროვნად გამიჯნული საბიუჯეტო სახსრებითა და ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები და შეძენილი არაფინანსური აქტივების თანხები, შეუძლებელია როგორც, ქონების ასევე მოგების გადასახადის სწორად გაანგარიშება.

ამ აბზაცში წარმოდგენილი საკითხებისა და ზემოთ განხილული სხვა გარემოებების შესაძლო საგადასახადო ეფექტის დადგენის შესასაძლებლობის უქონლობის გამო, ჩვენ ვერ დავრწმუნდით გადასახადებთან დაკავშირებული მუხლების აღრიცხვის მართებულობაში.

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობაზე

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მისი წარდგენის პასუხისმგებლობის გარდა, სააგენტოს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, უზრუნველყოს ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა გამოთქვას მოსაზრება იმის შესახებ შეესაბამება თუ არა სააგენტოს ფინანსური საქმიანობა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია მოქმედ კანონმდებლობას, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. პასუხისმგებლობა გულისხმობს აუდიტის იმგვარად დაგეგმვას და წარმართვას, რომ მოპოვებული დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ საქმიანობა, ფინანსური ოპერაციები და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობისა და სხვა მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნებს. აღნიშნული პროცედურები ტარდება არსებითი შესაბამისობების რისკების შეფასების საფუძველზე.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

შესაბამისობის შესახებ უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

ინვენტარიზაციის შედეგებისა და ბუღალტრული დოკუმენტაციის წარმოების შესახებ

ინვენტარიზაციის შედეგების მიმოხილვისას გამოვლინდა ჩატარებული ინვენტარიზაციის საქართველოს ფინანსთა მინისტრის №605 ბრძანების მოთხოვნებთან შეუსაბამობები⁷. 2011 და 2012 წლების ინვენტარიზაციის აქტებში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდება ბუღალტრულ ჩანაწერებში არსებული მონაცემებისგან. აღნიშნულის მიზეზი ნაწილობრივ შესაძლებელია მდგომარეობდეს იმაში, რომ ორივე შემთხვევაში არ მომხდარა დიზომეტრიის განყოფილების ინვენტარიზაცია. როგორც აფხაზეთის ლაბორატორიაში, ინვენტარიზაცია ასევე ვერ ჩატარდა ადმინისტრაციის შენობაში, სადაც იძულებით გადაადგილებული პირები არიან შესახლებულნი.

გარდა ამისა, კანონმდებლობის მოთხოვნების⁸ მიუხედავად, სააგენტოს თანამშრომლები, რომლებიც ინვენტარიზაციის კომისიის წევრებს წარმოადგენენ, ინვენტარიზაციის აქტებში ასევე მოხსენიებულნი არიან როგორც შენახვაზე პასუხისმგებელი პირები. ამასთან, საინვენტარიზაციო აღწერილობებზე რიგ შემთხვევებში ხელს აწერენ ფაქტობრივად პასუხისმგებელი პირები, რომლებთანაც არ არის გაფორმებული ხელშეკრულებები სრული პასუხისმგებლობის შესახებ. შესაძლებელია, რომ სწორედ აღნიშნულის გამო საინვენტარიზაციო კომისიამ თანამშრომლების ახსნა-განმარტებების საფუძველზეც კი ვერ განსაზღვრა თუ ვისი ბრალეული ქმედებით იქნა გამოწვეული 2011 წლის ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისები. შესაბამისად, არ მომხდარა დანაკლისების ანაზღაურების დაკისრება მატერიალურ პასუხისმგებელ პირებზე. თუმცა, სააგენტოს განმარტებით, 2011 წლის ინვენტარიზაციის მასალები სრულად იქნა წარდგენილი სამართალდამცავ ორგანოებისთვის.

შეუსაბამობები გამოვლინდა ასევე „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების“ თაობაზე ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 28 ივლისის N511 ბრძანების მოთხოვნებთან. სააგენტოს არ აქვს სისტემატიზებული და სათანადოდ დაარქივებული

⁷ მუხლი 6, პუნქტი 1

⁸ მუხლი 5, პუნქტი 5

მატერიალური მარაგების და ძირითადი აქტივების ანალიზურ აღრიცხვასთან დაკავშირებული ფორმები სხვა პირველად დოკუმენტაციასთან ერთად.

სახელმწიფო შესყიდვები

სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების შემოწმების შედეგად გამოვლენილია რიგი შემთხვევები, როდესაც უგულებელყოფილია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N9 ბრძანება. აღნიშნული ბრძანების მე-20 მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა. სააგენტოს მიერ გაფორმებული შემდეგი ხელშეკრულების ჯამური ღირებულება კი გაზრდილია 10%-ზე მეტით, მთ შორის:

- სააგენტოს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება უკრაინის სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, სერტიფიკაციის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამეცნიერო-საწარმოო ცენტრთან, ეტალონურ გაზომვათა საშუალებების მეტროლოგიურ დაკალიბრებაზე. ხელშეკრულებას ხელი მოეწერა უკრაინაში 2011 წლის 17 ოქტომბერს, თუმცა შესყიდვების სააგენტოს ვებ პორტალზე ის რეგისტრირებულია 2012 წლის 3 იანვრიდან. ხელშეკრულება გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვით საქართველოს მთავრობის 2011 წლის 10 ნოემბრის განკარგულების საფუძველზე. ხელშეკრულების თანხის 50% გადარიცხულია ავანსად გარანტიის გარეშე. დამატებითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების თანხა გაზრდილია 4,171 აშშ დოლარით, რაც სახელშეკრულებო თანხის 10%-ს აღემატება. ამასთან, შესყიდვების სააგენტოს საიტზე რეგისტრირებული ფაქტობრივი გადახდების თარიღები არ ემთხვევა საბანკო ამონაწერში მოცემული გადახდების თარიღებს.
- 2011 წლის 18 აპრილს ი.მ. ბადრი გურგენიძესთან 3000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გაზრდილია 50% -ით, ანუ - 1500 ლარით.
- 2011 წლის 11 ივლისს შპს ტასუკასთან 200 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გაზრდილია 900% -ით ანუ, 1800 ლარით.

ასევე, 2012 წელს სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ჩარგლის N 67-ში 8 სართულიან კორპუსში. ხელშეკრულების თანხა შეადგენდა 159,800 ლარს დღგ-ს ჩათვლით, თუმცა, მიმწოდებელმა შპს „ტრიადამ“ დადგენილ ვადებში ვერ უზრუნველყო დაკისრებული სამუშაოების შესრულება და შესაბამისად, ხელშეკრულება შეწყდა. მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 91,820 ლარი დღგ-ს ჩათვლით, სამხარაულის დასკვნის მიხედვით სამუშაოების ღირებულებამ 90,024 ლარი შეადგინა. სააგენტოს შეტანილი აქვს სარჩელი სასამართლოში შპს „ტრიადასაგან“ სხვაობის, 1,796 ლარის დაბრუნების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების გაფორმების დროს შპს „ტრიადას“ წარმოდგენილი ჰქონდა ხელშეკრულების შესრულების გარანტია სადაზღვევო კომპანიიდან სახელშეკრულებო თანხის 2%-ის ოდენობით (3196 ლარი). აღნიშნული თანხა სააგენტოს მიერ გარანტორისთვის მოთხოვნილი არ არის.

სააგენტომ 2011 წლის განმავლობაში საწვავის შესყიდვის მიზნით რამდენჯერმე გამოაცხადა ტენდერი, რომელიც არ შედგა იმის გამო, რომ ტენდერში არც ერთმა კომპანიამ არ მიიღო მონაწილეობა. აქედან გამომდინარე, 2011 წლის 27 ივლისს სააგენტომ თხოვნით მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისთვის საწვავი შეეძინათ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, რაზეც თანხმობა მიიღო 2 აგვისტოს. თუმცა, ხელშეკრულება საწვავის შესყიდვაზე გაფორმდა სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასთან“ თანხმობის მიღებამდე ერთი დღით ადრე - 1 აგვისტოს. ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 8,325 ლარი.

ზოგიერთი ხელშეკრულება განსაზღვრავს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ კონკრეტულ პირს, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტზე სრულიად სხვა პიროვნებების ხელმოწერებია. ამასთან დაკავშირებით, სააგენტომ ვერ წარმოადგინა რაიმე სახის დოკუმენტი, სადაც აღნიშნული იქნებოდა თუ რატომ არ აწერს ხელს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს.

სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის შესახებ

ფორმა N6-ის მიხედვით, სააგენტოს მფლობელობაში 2011 წლის ბოლოსთვის 10 სატრანსპორტო საშუალება (აქედან 6 მუშა მდგომარეობაში) ირიცხება, რომელთა ექსპლუატაციისათვის გაწეულმა ხარჯებმა 44,460 ლარი შეადგინა. 2012 წლის განმავლობაში ფიქსირდება მხოლოდ ერთი მსუბუქი ავტომობილის ექსპლუატაციიდან გასვლა, ხარჯებმა კი ამჯერად 37,406 ლარი შეადგინა, საიდანაც 29,939 ლარი მოხმარებული საწვავის ღირებულებაა. 2012 წლის სექტემბრამდე სატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფა ხდებოდა საწვავის ტალონებით. აღნიშნული მეთოდის გაუმართაობის გამო, სათანადოდ არ კონტროლდებოდა სამსახურეობრივი დანიშნულების ავტომობილებით განვლილი მანძილი, რიგ შემთხვევებში ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით ჩამოწერილი საწვავის რაოდენობა არ ემთხვევა მძღოლების მიერ შევსებულ განვლილი მანძილის აღრიცხვის ფურცლებს. ასევე, აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სააგენტოს არ აქვს დაცული თითოეული ავტომობილის მიხედვით საწვავის თვიური ლიმიტები, რაც წლის დასაწყისში მტკიცდება⁹ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით. 2011 წელს სხვადასხვა ავტომობილების მიხედვით საწვავის ლიმიტზე გადაჭარბებულია ჯამში 690 ლიტრით, ხოლო 2012 წელს - 258 ლიტრით.

2011 და 2012 წლების განმავლობაში სააგენტოს მიერ დაზღვეული იყო მხოლოდ 2 ავტომობილი. აღსანიშნავია, რომ 2011 წლის 29 დეკემბერს სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიასთან“ გაფორმებული ავტოდაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით, ავტომანქანა „კია სორენტოს“ უფლებამოსილ მძღოლად მოხსენიებულია ფ/პ ბიკენტი გულედანი, რომელიც არ ყოფილა სააგენტოს თანამშრომელი.

რაც შეეხება სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯებს, ამ მიმართულებით 2011 და 2012 წლების განმავლობაში სულ დაიხარჯა 15,401 ლარი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ერთ ავტომანქანაზე (ოპელ ვექტრა) მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ოდენობამ მოცემული პერიოდებისთვის ავტომანქანის საბალანსო ღირებულების (2012 წელი - 3,310 ლარი) 171 პროცენტი შეადგინა, რაც ამ შემთხვევაში, სააგენტოს ხელთ არსებული რესურსების არარაციონალურად გამოყენებაზე მიუთითებს.

ადამიანური რესურსების მართვა

საგულისხმოა შრომით ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ ხარვეზები, კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ შრომით ხელშეკრულების ვადა 2011 წლის 1 იანვარს ამოიწურა, ყოფილ თანამშრომელს სრულად აქვს მიღებული იანვარის თვის ხელფასი 190 ლარის ოდენობით. იგივე შემთხვევას აქვს 2012 წელსაც ადგილი, როდესაც შრომითი ხელშეკრულების პირობების მიუხედავად ყოფილ თანამშრომელს ზედმეტად აქვს მიღებული დეკემბრის თვის ხელფასი 250 ლარის ოდენობით.

უარყოფითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

შესაბამისობის შესახებ უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის აზრად აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, სააგენტოს საქმიანობა, ფინანსური ოპერაციები და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობისა და სხვა მარეგულირებელ ნორმების მოთხოვნებს.

⁹ სსიპ „სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ დებულება - მუხლი 4, პუნქტი დ)

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2012 წლის 3 ოქტომბერს ევროგაერთიანებასთან გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სფეროში ევროპის სტანდარტებთან ჰარმონიაციის ხელშეწყობის მიზნით ევროგაერთიანება იღებს ვალდებულებას სამოქმედო გეგმის შესაბამისად 698,000 ევრო გადასცეს სააგენტოს. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს გრანტის გაცემის სამ ეტაპს, კერძოდ, სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ტრენინგებს, სააგენტოს ინფრასტრუქტურის განვითარებასა და შესრულებული სამუშაოების შესახებ კონფერენციების მოწყობას. სააგენტოს განმარტებით, აღნიშნული გრანტის პირობების შესახებ მოლაპარაკება დაიწყო 2012 წლამდე, მოლაპარაკებების საწყისი შედეგების მიხედვით სააგენტოს უნდა ეკისრა ვალდებულება განეხორციელებინა საგრანტო პროექტის თანადაფინანსება. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფორმა N2.1-ში არის წარმოდგენილი, არაფინანსური აქტივების ზრდისთვის დაზუსტებული გეგმით სააგენტოს გამოეყო 300,000 ლარი. აქედან მოხდა მხოლოდ 150,238 ლარის ათვისება, რადგან საგრანტო პროექტის საწყისი პირობების შეიცვლა და აღარ მოითხოვებოდა სააგენტოს მხრიდან თანადაფინანსება.

სააგენტოს საქმიანობის ხარისხის კონტროლი

სააგენტოს დაფინანსების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, რომლებიც გამომუშავდება როგორც დამოწმებისა და დაკალიბრების მომსახურებებიდან, ასევე სტანდარტების რეალიზაციიდან. აუცილებელია, რომ სააგენტოს ძირითადი საქმიანობასთან დაკავშირებული თითოეული პროცესი იყოს გაწერილი და ხარისხის კონტროლს დაქვემდებარებული. სააგენტოს განმარტებით, ევროპული დახმარების დამოზილევის პროექტის ფარგლებში 2011 წლის ოქტომბრიდან მეტროლოგიის ინსტიტუტში დაიწყო საერთაშორისო სტანდარტის, ISO/IEC 17025 დანერგვა, რაც მეტროლოგიის სფეროში საერთაშორისო აღიარებისა და მაღალი ხარისხის მომსახურების შენარჩუნების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. შედეგად სააგენტოში 2013 წელს დამტკიცდა ხარისხის სახელმძღვანელო და დაინერგა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დოკუმენტაცია. 2013 წლის მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის შემფასებლის მიერ ჩატარებული შემოწმებისა და ხარისხის ფორუმის ტექნიკური კომიტეტის სხდომის საფუძველზე 2014 წლის 11 თებერვალს სააგენტოს მიენიჭა შესაბამისი აღიარების სერთიფიკატი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სამუშაოები მიმდინარეობდა 2011 წლის ოქტომბრიდან აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2013 წლამდე:

- სააგენტოს არ გააჩნია შიდა დოკუმენტი, სახელმძღვანელო სტანდარტი მისი ლაბორატორიებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ მომსახურებების გაწევის წესის შესახებ;
- ლაბორატორიებს არ გააჩნია სამუშაო აღწერილობები, რომელიც განსაზღვრავდა ლაბორატორიის თითოეული თანამშრომლის საქმიანობის კონკრეტულ სფეროს, მის ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას.
- არ არის შემუშავებული სტანდარტები და მოთხოვნები იმ გარემო პირობების შესახებ, რომელშიც ხორცილედება უშუალოდ ლაბორატორიული სამუშაოები, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შესრულებული სამუშაოების ხარისხს.
- სააგენტოში არ არსებობს ეტალონების მოვლა შენახვისა და ექსპლუატაციის წესები. ეტალონი არის გაზომვის საშუალება, რომელიც განკუთვნილია ფიზიკური სიდიდის ერთეულის ზომის აღწარმოებისათვის, შენახვისა და გადაცემისათვის. სააგენტო პასუხისმგებელია ეროვნული ეტალონების განვითარებაზე, შენახვაზე, მოვლაზე, საერთაშორისო შედარებებში მონაწილეობაზე, შესაბამისად, მათი გამოყენებისა და შენახვის წესის არსებობა პირდაპირ გავლენას ახდენს სააგენტოსთვის დაკისრებული პასუხისმგებლობების სრულფასოვნად შესრულებაზე.
- არ ხდება მომსახურების გამწევი კონკრეტული თანამშრომლის, სპეციალისტის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი. შესაბამისად აღნიშნულის არარსებობის გამო, ეჭვქვეშ დგება სააგენტოს მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი.

ყველა ზემოთ მოცემული ფაქტს შესაძლებელია ჰქონოდა უარყოფითი გავლენა სააგენტოს მიერ 2011 და 2012 წლების განმავლობაში კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებაზე.

სსიპ "საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო"

ფორმა N1 - ბალანსი

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

	2010	2011	2012
აქტივები			
ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები			
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1	947	-
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში	30,513	47,343	27,072
სავალუტო ანგარიშები ბანკში	7,951	13,159	13,112
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	34,711	51,691	152,738
მოთხოვნები მივლინებით	114	2,491	4,834
ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები	3,194	-	-
ანგარიშვალდებული პირის მიმართ მოთხ. ხაზინი. გად. თანხით	427	-	-
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	15,537	15,537	18,867
სხვა საგადასახადო აქტივი	6,288	4,811	5,290
სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანება	12,117	7,370	4,790
სულ ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები	110,853	143,349	226,703
არაფინანსური აქტივები			
შენობა-ნაგებობები	571,720	871,461	958,186
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	208,656	167,269	426,769
სხვა ძირითადი აქტივები	3,567	3,567	3,567
სხვა მატერიალური მარაგები	81,945	81,945	81,945
ფასეულობები	15,167	15,167	15,167
სულ არაფინანსური აქტივები	881,055	1,139,409	1,485,634
სულ აქტივები	991,908	1,282,758	1,712,337
ვალდებულებები და კაპიტალი			
ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტ. დავალიანებები			
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	30,751	11,083	21,571
გადასახდელი დღგ	7,439	7,314	16,363
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	-	-	992
გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის	427	-	-
გადასახდელი ხელფასები შტატგარეშე მომუშავეთათვის	-	64	7,863
სულ ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები	38,617	18,461	46,789
კაპიტალი			
წმინდა ღირებულება	734,693	991,921	1,091,196
გაუნაწილებელი მოგება	227,900	272,376	574,352
დაუფარავი ზარალი*	(9,302)	-	-
სულ კაპიტალი	953,291	1,264,297	1,665,548
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	991,908	1,282,758	1,712,337

სსიპ "საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო"

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

2011 წელი

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
1.1 შრომის ანაზღაურება	232,000	232,000	232,000	232,000	232,000	232,000	-
1.2 საქონელი და მომსახურება	42,500	42,500	42,155	42,155	42,155	42,155	345
1.3 ძირითადი კაპიტალ. მოხმარება	-	-	-	-	-	53,530	-
1.4 პროცენტი	-	-	-	-	-	-	-
1.5 სუბსიდიები	-	-	-	-	-	-	-
1.6 გრანტები	-	-	-	-	-	-	-
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	-	-	-	-	-	-	-
1.8 სხვა ხარჯები	-	-	-	-	-	-	-
სულ ხარჯები	274,500	274,500	274,155	274,155	274,155	327,685	345

2012 წელი

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
1.1 შრომის ანაზღაურება	232,000	232,000	232,000	232,000	232,000	232,000	-
1.2 საქონელი და მომსახურება	-	-	-	-	-	-	-
1.3 ძირითადი კაპიტალ. მოხმარება	-	-	-	-	-	25,693	-
1.4 პროცენტი	-	-	-	-	-	-	-
1.5 სუბსიდიები	-	-	-	-	-	-	-
1.6 გრანტები	-	-	-	-	-	-	-
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	-	-	-	-	-	-	-
1.8 სხვა ხარჯები	-	-	-	-	-	-	-
სულ ხარჯები	232,000	232,000	232,000	232,000	232,000	257,693	-

სსიპ "საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო"

ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

2011 წელი

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
ძირითადი აქტივები					
შენობა-ნაგებობები	42,500	42,500	42,500	42,500	-
სულ არაფინანსური აქტივები	42,500	42,500	42,500	42,500	-

2012 წელი

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
ძირითადი აქტივები					
შენობა-ნაგებობები	300,000	300,000	218,359	150,234	150,234
სულ არაფინანსური აქტივები	300,000	300,000	218,359	150,234	150,234

სსიპ "საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო"

ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

წმინდა ღირებულება 01/01/2011	734,693
სადებეტო ბრუნვა 2011	
მომუშავეთა ანაზღაურება	(232,000)
საქონელი და მომსახურება	-
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(53,530)
სულ სადებეტო ბრუნვა 2011	(285,530)
საკრედიტო ბრუნვა 2011	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	316,655
აქტივების უსასყიდლოდ მიღება	226,103
სულ საკრედიტო ბრუნვა 2011	542,758
წმინდა ღირებულების ცვლილება 2011	257,228
წმინდა ღირებულება 31/12/2011	991,921
სადებეტო ბრუნვა 2012	
მომუშავეთა ანაზღაურება	(232,000)
საქონელი და მომსახურება	-
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(25,693)
აქტივების უსასყიდლოდ გაცემა	(25,266)
სულ სადებეტო ბრუნვა 2012	(282,959)
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	382,234
სხვა ეკონომიკური ნაკადები	-
სულ საკრედიტო ბრუნვა 2012	382,234
წმინდა ღირებულების ცვლილება 2012	99,275
წმინდა ღირებულება 31/12/2012	1,091,196

სსიპ "საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო"

ფორმა N4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

2011 წელი

	საკასო	ფაქტიური
ნაშთი 01/01/2011	38,465	227,900
საანგარიშგებო პერიოდის სხვა შემოსავლები		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,408,700	1,408,700
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	17,964	17,964
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა შემოსავლები	1,426,664	1,426,664
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი		-
სულ საანგარიშო პერიოდის შემოსავლები	1,426,664	1,426,664
ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით		
შრომის ანაზღაურება	(725,422)	(725,422)
საქონელი და მომსახურება	(397,295)	(375,803)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-
გრანტები	-	-
სხვა ხარჯები	(99,000)	(99,000)
სულ ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	(1,221,717)	(1,200,225)
არაფინანსური აქტივები		
ძირითადი აქტივები	-	-
სულ არაფინანსური აქტივები	-	-
სულ ფინანსური აქტივები	-	-
სულ ვალდებულებები	-	-
ბიუჯეტში გადახდილი თანხები	(181,000)	(181,000)
კურსთა შორის სხვაობით მიღებული ზარალი	(963)	(963)
ნაშთი პერიოდის ბოლოს 31/12/2011	61,449	272,376

სსიპ "საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო"

ფორმა N4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

2012 წელი

	საკასო	ფაქტიური
ნაშთი 01/01/2012	61,449	272,376
საანგარიშგებო პერიოდის სხვა შემოსავლები		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,305,667	1,305,667
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	-	-
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა შემოსავლები	1,305,667	1,305,667
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	88	88
სულ საანგარიშო პერიოდის შემოსავლები	1,305,755	1,305,755
ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით		
შრომის ანაზღაურება	(364,975)	(364,975)
საქონელი და მომსახურება	(695,947)	(453,661)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	(89,211)
გრანტები	-	-
სხვა ხარჯები	(66,269)	(95,932)
სულ ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	(1,127,191)	(1,003,779)
არაფინანსური აქტივები		
ძირითადი აქტივები	-	-
სულ არაფინანსური აქტივები	-	-
სულ ფინანსური აქტივები	-	-
სულ ვალდებულებები	-	-
ბიუჯეტში გადახდილი თანხები	(199,457)	-
კურსთა შორის სხვაობით მიღებული ზარალი	(372)	-
ნაშთი პერიოდის ბოლოს 31/12/2012	40,184	574,352

სსიპ "საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო"

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

2011 წელი		მიღება			გასვლა	
არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი 01/01/2011	შესყიდვით	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	საკუთარი სახსრებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	ნაშთი 31/12/2011
ძირითადი აქტივები						
შენობა-ნაგებობები	571,720	82,490	226,103	-	(8,852)	871,461
არასაცხოვრებელი შენობები	571,720	82,490	226,103	-	(8,852)	871,461
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	208,656	-	-	3,291	(44,678)	167,269
სატრანსპორტო საშუალებები	30,705	-	-	-	(478)	30,227
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	177,951	-	-	3,291	(44,200)	137,042
სხვა ძირითადი აქტივები	3,567	-	-	-	-	3,567
სხვა არამატერ. ძირითადი აქტივები	3,567	-	-	-	-	3,567
სულ ძირითადი აქტივები	783,943	82,490	226,103	3,291	(52,530)	1,042,297
მატერიალური მარაგები						
სხვა მატერიალური მარაგები	81,945	-	-	-	-	81,945
სხვა დანარჩენი მარაგები	81,945	-	-	-	-	81,945
სულ მატერიალური მარაგები	81,945	-	-	-	-	81,945
ფასეულობები						
ძვირფასი ქვები და ლითონები	15,167	-	-	-	-	15,167
სულ ფასეულობები	15,167	-	-	-	-	15,167

სსიპ "საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო"

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

2012 წელი		მიღება		გასვლა		
არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი 01/01/2012	შესყიდვით	სხვა მიღებები	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	ნაშთი 31/12/2012
ძირითადი აქტივები						
შენობა-ნაგებობები	871,461	121,374	-	(25,266)	(9,383)	958,186
არასაცხოვრებელი შენობები	871,461	121,374	-	(25,266)	(9,383)	958,186
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	167,269	41,888	326,742	(3,609)	(105,521)	426,769
სატრანსპორტო საშუალებები	30,227				(6,045)	24,182
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	137,042	41,888	326,742	(3,609)	(99,476)	402,587
სხვა ძირითადი აქტივები	3,567	-	-	-	-	3,567
სხვა არამატერ. ძირითადი აქტივები	3,567	-	-	-	-	3,567
სულ ძირითადი აქტივები	1,042,297	163,262	326,742	(28,875)	(114,904)	1,388,522
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები						
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	81,945	-	-	-	-	81,945
ფასეულობები						
ძვირფასი ქვები და ლითონები	15,167	-	-	-	-	15,167
სულ ფასეულობები	15,167	-	-	-	-	15,167

სსიპ "საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო"

ფორმა N6 - ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

2011 წელი - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ

მაჩვენებელთა დასახელება	ბიუჯეტით		არასაბიუჯეტო სახსრებით		სულ	
	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები
სატრანსპორტო ერთეულთა საშუალო წლიური რაოდენობა სულ: (10)	-	-	44,460	44,460	44,460	44,460
მ.შ. მსუბუქი მანქანების სულ:						
სამსახურებრივი მიმოსვლის (7)	-	-	35,187	35,187	35,187	35,187
ოპერატიული და სპეცდანიშნულების (3)	-	-	9,273	9,273	9,273	9,273

2012 წელი

დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში (რაოდენობა)			ექსპლუატაციიდან გასული	საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
	მუშა მდგომ.	არამუშა მდგომ.	რაოდენობა		სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათ. ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათ. ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება სულ:	4	6			37,406	2,593	29,939	4,874	37,406	2,593	29,939	4,874
მ.შ. მსუბუქი	2	6	1		14,224	1,292	10,284	2,648	14,224	1,292	10,284	2,648
ჯიპები და პიკაპები	1				11,366	405	10,125	836	11,366	405	10,125	836
სატვირთო	1				11,816	896	9,530	1,390	11,816	896	9,530	1,390
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი და საოფისე ტექნიკა სულ:	65	32										
მობილური ტელეფონები		14										
ტელევიზორები	5	9										
კომპიუტერები	60	9										

სსიპ "საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

1. ზოგადი ინფორმაცია

სააგენტო წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. 2011 წლის განმავლობაში ის ფუნქციონირებდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 23 ივნისის ბრძანებით¹⁰ დამტკიცებული დებულებით, რომელიც შემუშავებული იყო, „სტანდარტიზაციის შესახებ“, „გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“, „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ და საქართველოს სხვა კანონების საფუძველზე. 2012 წელს დამტკიცდა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, რომლის მიხედვითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა ზემოთ ხსენებული სამი კანონი. შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის ბრძანებისა¹¹ და „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მიხედვით მოხდა ახალი დებულების დამტკიცება. ახალი დებულებით სააგენტოს სახელი შეეცვალა და ის ამჟამად ფუნქციონირებს როგორც - სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“.

სააგენტოს ძირითად მიზნებსა და ფუნქციებს წარმოადგენს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება, ამ სფეროში საქმიანობის კოორდინაცია, მეტროლოგიის სისტემების ჩამოყალიბება და მათი განვითარების ხელშეწყობა. სააგენტოს ევალება საქართველოს ინტერესების წარმოდგენა და დაცვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. ის არის „სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის“ (ISO) და „სამართლებრივი მეტროლოგიის საერთაშორისო ორგანიზაციის“ (OIML) წევრ-კორესპონდენტი.

გარდა ამისა, სააგენტო ახორციელებს გაზომვის საშუალებების დამოწმების, დაკალიბრების, გამოცდისა და ტიპის დამტკიცების, ასევე, სტანდარტებთან დაკავშირებულ სამუშაოებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით¹² დამტკიცებული მომსახურების ტარიფების მიხედვით. აღნიშნული სახის მომსახურებებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს სააგენტოს დაფინანსების ძირითად წყაროს. 2011-2012 წლების განმავლობაში სააგენტო ასევე იღებდა დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

სააგენტოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გენერალური დირექტორია პრომეთე შევარდნაძე. სააგენტოს იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. N 67.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

სააგენტო ხელმძღვანელობს „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ერთ წელს, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს.

¹⁰ ბრძანება N1-1/1091- სსიპ „საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ დებულების დამტკიცების შესახებ

¹¹ ბრძანება №1-1/1 5 70 - სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“

¹² 2011 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №323

სსიპ „საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“

მიერ განხორციელებული ანაზღაურებადი სამუშაოების (მომსახურების)

სახელშეკრულებო საფასურების განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება ხდება ბალანსის შედგენის თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით გამოსახული ნაკადების ღირებულება კონვერტირდება ეროვნული ვალუტით იმ თარიღისათვის მოქმედი ოფიციალური კურსით, როდესაც ამ ნაკადებს ჰქონდათ ადგილი. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გაცვლით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება სხვა ეკონომიკურ ნაკადებში (მოგება/ზარალი ფლობიდან).

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც სააგენტომ გამოიყენა ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისას:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსები 1 GEL		
	2010	2011	2012
აშშ დოლარი USD	1.7728	1.6703	1.6567
ევრო EUR	2.3500	2.1614	2.1825
გირვანქა სტერლინგი GBP	2.7393	2.5776	2.6653

3. სააგენტოს საქმიანობის მიმოხილვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიერ დამტკიცებული დებულებით განსაზღვრულია სააგენტოს სტრუქტურა და ამ სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები. სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- სტანდარტების დეპარტამენტი;
- მეტროლოგიის ინსტიტუტი;
- ლაბორატორიული მომსახურების ცენტრი.

ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს:

- სააგენტოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
- სააგენტოს საკადრო საკითხების რეგულირება;
- საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის წარმართვა, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
- შესყიდვების პროცედურების განხორციელება და განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშგების მომზადება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარსადგენად;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;

სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების მიმოხილვა წარმოდგენილია შემდეგ პარაგრაფში.

სტანდარტების დეპარტამენტის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საქართველოში სტანდარტების შემუშავება, რეგისტრაცია და ამ სტანდარტების გავრცელება. დეპარტამენტი მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებს სტანდარტების სამსახურის, ეროვნული საინფორმაციო ცენტრისა და სტანდარტების რეესტრების წარმოების სამსახურის საშუალებით. სტანდარტების რეგისტრაცია და შემუშავება ხდება სამი მეოდიით:

- საერთაშორისო სტანდარტების რეგისტრაცია საქართველოს სტანდარტად, გარეკანის თარგმნის მეოდიით;

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

- საქართველოს სტანდარტის შემუშავება და რეგისტრაცია;
- საერთაშორისო სტანდარტების რეგისტრაცია საქართველოს სტანდარტად, სრული თარგმნის მეთოდით;

2011 წლის განმავლობაში სააგენტოს მიერ სულ გაცემულია 354 ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტი, ხოლო 2012 წელს 279 სტანდარტი

მეტროლოგიური ინსტიტუტი სააგენტოს ერთადერთი სტრუქტურული ერთეულია, რომლის დირექტორს სააგენტოს გენერალური დირექტორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი. ინსტიტუტი მოიცავს შვიდ ეტალონურ განყოფილებას სპეციალობების მიხედვით, ასევე, - გაზომვის საშუალებების რეესტრისა და ლეგალიზაციის სამსახურებს. ინსტიტუტი საქმიანობას წარმართავს სამი ძირითადი მიმართულებით:

- საერთაშორისოდ აღიარებული გაზომვის ერთეულების განსაზღვრა (მაგალითად: მეტრი, კილოგრამი);
- გაზომვის ერთეულების აღწარმოება მეცნიერული მეთოდებით, ეტალონების შექმნა, განვითარება, მოვლა (მაგალითად: მეტრის აღწარმოება ლაზერის მეშვეობით);
- მიკვლევადობის ჯაჭვების ჩამოყალიბება, გაზომვის მნიშვნელობისა და სიზუსტის განსაზღვრით და დოკუმენტირებით (რათა კილოგრამი ერთ ქვეყანაში იმავს იწონიდეს, რასაც სხვა ქვეყანაში).

ლაბორატორიული მომსახურების ცენტრი

2012 წლის 20 აპრილს სააგენტოს ყოფილი დირექტორის, კახაბერ გულედანისა და მოქმედი მთავარი ბუღალტრის, ლია გეჯაძის მიერ სამ ფიზიკურ პირთან ერთად დაფუძნებული იქნა შპს „საქართველოს მეტროლოგიის ცენტრი“. აღნიშნულმა კომპანიამ იმავე წლის 8 მაისს მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომ მათთვის ცნობილი იყო სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ საკუთრებაში არსებული 385 ერთეული მოძრავი ქონების შესახებ (ქონების ჩამონათვალი წერილს დანართის სახით ახლავს) და სთხოვა ინფორმაცია ამ ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებით. 8 მაისვე სამინისტრომ წერილობით მოსთხოვა სააგენტოს აღნიშნული ქონების შემდგომი პრივატიზირების მიზნით გადმოცემა. 10 მაისს სააგენტომ დააკმაყოფილა სამინისტროს მოთხოვნა.

16 მაისს შპს „საქართველოს მეტროლოგიის ცენტრმა“ კვლავ მიმართა სამინისტროს, რომ ის დაინტერესებულია პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად შეისყიდოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ჩარგლის ქ. N67-ში, შენობა-ნაგებობა N 1-ის სარდაფი 705,29 კვ.მ., პირველი სართული 771,95 კვ.მ, შენობა-ნაგებობა N2 საერთო ფართობით 54,46 კვ.მ, შენობა-ნაგებობა N3 საერთო ფართობით 325,39 კვ.მ და მათზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (ს.კ. 01.12.06.002.023), ასევე, ზემოთ ხსენებული 384 ერთეული მოძრავი ქონება. წერილში აღნიშნულია, რომ შპს „საქართველოს მეტროლოგიის ცენტრი“ მზად არის გადმოსაცემ ქონებაზე ჩაატაროს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები 1 წლის განმავლობაში არანაკლებ 100,000 აშშ დოლარის ოდენობით.

2012 წლის 7 ივნისს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N07/06/01, რომლის მიხედვითაც სრულად არის დაკმაყოფილებული შპს „საქართველოს მეტროლოგიური ცენტრის“ მიერ შეთავაზებული პირობები სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შესყიდვასთან დაკავშირებით. ნასყიდობის ხელშეკრულება სამინისტროსა და მეტროლოგიის ცენტრს შორის გაფორმდა 2012 წლის 12 ივნისს.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პრივატიზების შედეგად სააგენტოს გამოეყო ერთ-ერთი მსხვილი ლაბორატორია, თბილისის ლაბორატორიული მომსახურების ცენტრი. ლაბორატორიის უფროსი მანანა კარბელაშვილი გახდა შპს „საქართველოს მეტროლოგიის ცენტრის“ ტექნიკური დირექტორი. ლაბორატორიაში მომუშავე 24 თანამშრომელიც ამ კომპანიის თანამშრომელი გახდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თბილისის ლაბორატორიული მომსახურების ცენტრი ასრულებდა დამოწმება-დაკალიბრების სამუშაოებს, რომელზეც წელიწადში

სსიპ "საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

დაახლოებით 300-400 ათასი ლარის შემოსავალი მოდიოდა. აღნიშნული სამუშაოებიდან მიღებულ შემოსავალს სააგენტოს ნაცვლად უკვე იღებს შპს „საქართველოს მეტროლოგიის ცენტრი“.

სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ ძირითადი საკმთანობიდან მიღებული შემოსვლები 2011 და 2012 წლების განმავლობაში სააგენტოს ინფორმაციით არის შემდეგი:

	2011	%	2012	%
მეტროლოგიის ინსტიტუტი	694,752	58.4%	814,018	74.3%
რადიაციული გაზომვები	6,732	0.6%	10,469	1.0%
ელექტრული გაზომვები	56,416	4.7%	48,230	4.4%
მექანიკური გაზომვები	437,696	36.8%	541,776	49.4%
რადიოაქტიური გაზომვები	35,660	3.0%	26,733	2.4%
ფიზიკურ-ქიმიური განყოფილება	2,083	0.2%	6,873	0.6%
ლეგალიზაციის სამსახური	147,303	12.4%	176,736	16.1%
გეომეტრიული გაზომვები	8,862	0.7%	3,201	0.3%
თბილისის მომსახურების ცენტრი	324,191	27.2%	145,613	13.3%
მომსახურების რეგიონალური ცენტრები	94,193	7.9%	70,224	6.4%
სტანდარტების დეპარტამენტი	77,231	6.5%	65,808	6.0%
	1,190,367	100%	1,095,663	100%

4. შრომის ანაზღაურება და გაცემული მატერიალური დახმარებები

2011 და 2012 საანგარიშგებო წლების მიხედვით საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრებით გაცემული შრომის ანაზღაურება და მატერიალური დახმარებები შესაძლებელია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

2011 წელი

თანამდებობა	თანამშრომელთა რაოდენობა	საბიუჯეტო		არასაბიუჯეტო			ჯამი
		ხელფასი	პრემია	ხელფასი	პრემია	მატერიალური დახმარება	
გენ. დირექტორი	1	8,669	1,639	19,710	3,358	2,500	35,876
მენეჯმენტი	4	26,591	5,362	45,749	9,042	2,800	89,544
თანამშრომლები	163	180,944	8,795	522,843	101,318	17,645	831,545
		216,204	15,796	588,302	113,718	22,945	956,965

2012 წელი

თანამდებობა	თანამშრომელთა რაოდენობა	საბიუჯეტო		არასაბიუჯეტო			ჯამი
		ხელფასი	პრემია	ხელფასი	პრემია	მატერიალური დახმარება	
გენ. დირექტორი	1	8,168	2,971	19,945	2,500	2,500	36,084
მენეჯმენტი	4	28,607	4,328	53,385	-	1,600	87,920
თანამშრომლები	152	178,340	9,586	514,034	68,684	1,550	772,194
		215,115	16,885	587,364	71,184	5,650	896,198

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

სააგენტოს 2011 წლის შემოსავლების განაწილების წესის მიხედვით შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული შემოსავალი (დღგ-ს გარეშე) ნაწილდება შემდეგნაირად: 60% სახელშეკრულებო სამუშაოებში მონაწილე ძირითად პერსონალზე და იმ პერსონალზე, რომელიც არაპირდაპირ მონაწილეობს სამუშაოებში, ხოლო დანარჩენი 40% - წლიური გეგმით გათვალისწინებულ ხარჯებზე. ამავე წესში განსაზღვრულია ის მაქსიმალური ხელფასის ოდენობა (საბიუჯეტო ხელფასს დამატებული არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან მიღებული ხელფასი), რაც შეიძლება გაიცეს თანამშრომელზე თვის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ ფაქტიურად თვის განმავლობაში გასაცემი ხელფასის ოდენობა ნაკლებია თვის განმავლობაში დღგ-ს გარეშე შესრულებული სამუშაოების შედეგად მისაღები შემოსავლის 60%-ზე, დარჩენილი სხვაობა გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია გაიცეს პრემიების სახით, მაგრამ არაუმეტეს თითოეულ თანამშრომელზე ხელფასის ერთმაგი ოდენობისა.

საკუთარი სახსრებიდან პრემიის გაცემაზე განყოფილების (დეპარტამენტების, ლაბორატორიების) ხელმძღვანელები წერდნენ მოხსენებით ბარათს შესრულებული სამუშაოებიდან გამომდინარე პრემიების გამოყოფაზე, რის შემდეგაც გენერალური დირექტორი გამოსცემდა განკარგულებას პრემიების გაცემაზე. რიგ შემთხვევებში პრემიები გაიცემოდა მოხსენებით ბარათზე გენერალური დირექტორის ვიზირებს საფუძველზე. მოხსენებით ბარათებში მითითებულია კონკრეტული განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგად მიღებული შემოსავლებიდან განყოფილებაზე გასანაწილებელი თანხა და თანამშრომლების ჩამონათვალი თანხების მითითებით ვისზეც უნდა გადანაწილდეს მოთხოვნილი პრემია.

რაც შეეხება მატერიალურ დახმარებებს, თანამშრომლი წერდა მოხსენებით ბარათს ან განცხადებას, რის შემდეგაც გენერალური დირექტორი გამოსცემდა განკარგულებას მატერიალური დახმარების გაცემაზე. რიგ შემთხვევებში მატერიალური დახმარება გაიცემოდა თანამშრომლის მოხსენებით ბარათზე ან განცხადებაზე გენერალური დირექტორის ვიზირებით. მატერიალური დახმარება მოხსენებითი ბარათების მიხედვით გაიცემოდა ოჯახური პირობების გამო (თანამშრომლის ან მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის გამო).

2011 წელს მატერიალურ დახმარებაზე ჯამში გაცემულია 22,945 ლარი, 26 თანამშრომელზე. მენეჯმენტზე, რომელიც შედგება 3 თანამშრომლისგან გაცემულია 5,300 ლარი. 2012 წელს კი მატერიალურ დახმარებაზე ჯამში გაცემულია 5,650 ლარი, 4 თანამშრომელზე. მენეჯმენტის წევრებზე (სულ 2 თანამშრომელზე). გაცემულია 4,100 ლარი.

აუდიტორთა ხელმოწერა:

ნიკა ბიჩინაშვილი

ბესიკ ქოჩიაშვილი

გიორგი ხითარიშვილი

თენგიზ თევდორაძე

ანა ბახტაძე

